რადიოების საარჩევნო მონიტორინგი

24 მაისი- 14 ივნისი

2014 წელი

„ინტერნიუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის", ფარგლებში ახორციელებს რადიოარხების მონიტორინგს. მონიტორინგი 15 აპრილს დაიწყო და 30ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. იგი მოიცავს 12 რადიომაუწყებლის საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგს. ესენია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „თავისუფლება“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „უცნობი“, „მაესტრო“, „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი), „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი) და „აჭარა“ (ქ. ბათუმი).

24 მაისი - 14 ივნისის პერიოდში რადიოარხების მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოავლინა:

- მთავრობისთვის დათმობილმა დრომ შედარებით იკლო, პარალელურად კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, პრემიერმინისტრისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ გაშუქებამ მოიმატა;
- ყველაზე სიღრმისეული სიუჟეტები რადიო „თავისუფლებისა“ და „პალიტრას“ ეთერში გადიოდა, თუმცა ეს რადიომაუწყებლები მერობის კანდიდატების გაშუქებას მცირე დროს უთმობდნენ;
- მერობის კანდიდატების პროგრამები, უმეტესად, მოკლედ და ანალიზის გარეშე გაშუქდა;
- საარჩევნო კამპანიას ყველაზე აქტიურად „პირველი რადიო“ და რადიო „იმედი“ აშუქებდნენ;
- თბილისის გარდა, სხვა თვითმმართველი ქალაქის მერობის კანდიდატები თითქმის არ გაშუქებულან;

- ჟურნალისტებს აკლდათ პროაქტიულობა, რომ აღმოეჩინათ კონკრეტული პრობლემები და მოსახლეობისთვის მტკივნეული საკითხები ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში დაეყენებინათ;
- ჟურნალისტები ხშირად მოვლენებს დამატებითი ინფორმაციის მოძიების გარეშე აშუქებდნენ;
- რადიო პოლარიზებულ მედიასეგმენტს არ წარმოადგენს. რადიომაუწყებლების უმეტესობაზე, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები ხშრად შუქდებოდნენ;
- ჟურნალისტები ხმით / მუსიკით არ მანიპულირებდნენ და არც სიძულვილის ენას იყენებდნენ.

„რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

„რადიო 1-მა“ მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 40 წუთი დაუთმო. ამ დროის 18% „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებაზე მოდიოდა, 14% - მთავრობის და 13% - კოალიცია „ქართული ოცნების“. რადიომაუწყებელს საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი საუბარი არ გაუშუქებია.

ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად, თუმცა ზედაპირულად აშუქებდნენ. ახალი ამბები პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდა და ჟურნალისტები დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ნაკლებად ცდილობდნენ. მშრალად გაშუქებული ახალი ამბები მოვლენების არასწორი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად გაიზარდა მერობის კანდიდატების გაშუქებაც. ყველაზე აქტიურად თბილისის მერობის კანდიდატების დავით ნარმანიასა (კოალიცია „ქართული ოცნება“) და ნიკა მელიას (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) საარჩევნო კამპანიები შუქდებოდა. თუმცა, მათ შესახებ მომზადებული სიუჟეტებიც მშრალი და ზედაპირული იყო. ჟურნალისტები, ძირითადად, მერობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გაკეთებულ განცხადებებს ციტირებდნენ. ამიტომაც, კანდიდატები მხოლოდ დადებით და ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ.

ჟურნალისტები ხმით / მუსიკით არ მანიპულირებდნენ და არც სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები დაფიქსირებულა.



„პირველი რადიო“

„პირველი რადიო“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. რადიომაუწყებელმა ყველაზე მეტი (18) მონიტორინგის სუბიექტი გააშუქა და მათ ჯამში 4 საათი და 10 წუთი დაუთმო. დროის, საშუალოდ, 57% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებული იყო და აშუქებდა, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის განცხადებებს. თუმცა, ჟურნალისტები დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ნაკლებად ცდილობდნენ და ძირითადად, კომენტარების ციტირებით შემოიფარგლებოდნენ. მაგალითად, 2 ივნისის გამოშვებაში თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანი და საზღვრისპირა სოფელ კირნათის მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ თურქი მესაზღვრეები საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდნენ და მათ კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთებში მუშაობის საშუალება არ მისცეს. მოსახლეობა საზღვრის 100 მეტრით გადმოწევაზე საუბრობდა, თუმცა საკითხის მნიშვნელობის მიუხედავად, რადიომაუწყებელს დამატებითი

ინფორმაციის მოძიება არ უცდია: არც საგარეო უწყებას და არც ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს დაკავშირებია.

განცხადებების გაშუქებისას, ხშირად, ჟურნალისტები რესპონდენტებს არ წარადგენდნენ, შესაბამისად ჭირდა იმის გარკვევა თუ ვისი ხმა ისმოდა ეთერში.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად მერობის კანდიდატთა გაშუქებაც გაიზარდა. რადიომაუწყებელი წინასაარჩევნო კამპანიის აქტიური გაშუქებით გამოირჩეოდა. დრო არაკვალიფიციურ სუბიექტებსაც ეთმობოდათ და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების შეხედულებებიც ხშირად ჟღერდებოდა. დიაგრამაზე გამოტანილი სუბიექტების გარდა, გაშუქდნენ მერობის სხვა არაკვალიფიციური კანდიდატებიც, რომლებსაც ჯამში 49 წუთი დაეთმოთ.

საინფორმაციო გამოშვების მიწურულს ერთ-ერთ მერობის კანდიდატთან ინტერვიუ შუქდებოდა. 10-12 წუთის განმავლობაში კანდიდატი საკუთარ უპირატესობებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობდა. რადიომაუწყებლის ეთერში მსმენელებს საარჩევნო პროგრამების შესახებ ვრცელი ინფორმაციის მიღების საშუალება ჰქონდათ. ყველა რესპონდენტს თანაბარი დრო ეთმობოდა და პასუხის გაცემა დაახლოებით მსგავს კითხვებზე უწევდა. კანდიდატის განცხადებებს საპასუხო კითხვები იშვიათად მოსდევდა. შესაბამისად, სუბიექტების დადებით ტონში გაშუქების მაჩვენებელი გაიზარდა.

მთლიანობაში, რადიომაუწყებელი მიუკერძოებლად მუშაობდა და პროფესიული ეთიკის სტანდარტებსაც იცავდა.



რადიო „პალიტრა“

რადიო „პალიტრამ“ მონიტორინგის სუბიექტებს 3 საათი და 13 წუთი დაუთმო. აქედან, დროის 30% მთავრობაზე მოდიოდა, 22% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“, 21% - პრემიერმინისტრზე.

დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით რადიომაუწყებელი სიღრმისეულ და ანალიტიკურ სიუჟეტებს ამზადებდა. ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით არ შემოიფარგლებოდნენ და დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ცდილობდნენ. მაგალითად, 5 ივნისის გამოშვებაში გაშუქდა, რომ თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას, სასამართლო პროცესი გადაიდო, რის მიზეზადაც პროკურორების მივლინებაში ყოფნა დასახელდა. სხვა რადიომაუწყებლებისგან განსხვავებით, რადიო „პალიტრას“ ჟურნალისტები დაინტერესდნენ თუ სად, რა საქმესთან დაკავშირებით და რამდენი პროკურორი წავიდა მივლინებაში. რადიომაუწყებელი მოვლენების მრავალფეროვანი გაშუქებითაც გამოირჩეოდა. მაგალითად, 2 ივნისს პრემიერმინისტრისა და გერმანიის

კანცლერის შეხვედრის გაშუქებისას ჟურნალისტები შეეცადნენ ექსპერტებთან გაერკვიათ, თუ რა შედეგების მომტანი შეიძლება ყოფილიყო ღარიბაშვილი - მერკელის შეხვედრა. ჟურნალისტები პოლიტიკოსებს ოპონენტთა განცხადებებზე ზოგადი კომენტარის მიღების ნაცვლად, კონკრეტული კითხვებით მიმართავდნენ.

რადიომაუწყებელი საარჩევნო პროცესების შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებებს აქტიურად აშუქებდა, თუმცა მერობის კანდიდატთა პროგრამები თითქმის არ გაშუქებულა. წუთზე მეტი დრო თბილისის მერობის მხოლოდ სამ კანდიდატს დაეთმო. ჟურნალისტები საარჩევნო დაპირებებთან დაკავშირებით კრიტკულ კითხვებს არ სვამდნენ.

რადიომაუწყებელი მიუკერძოებლად და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდა. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და პროაქტიულობითაც გამოირჩეოდნენ.



რადიო „უცნობი“

რადიო „უცნობი“ 5-წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის მხოლოდ ხუთი სუბიექტი გაშუქდა. მათ ჯამში 36 წუთი დაეთმოთ, საიდანაც დროის 56% მთავრობაზე მოდიოდა. ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებებს მხოლოდ ციტირებდნენ, შესაბამისად პირდაპირი საუბარი არ გაშუქებულა.

ჟურნალისტები დღის მთავარ თემებს მშრალად და მოკლედ გადმოსცემდნენ, არც დამატებით ინფორმაციას მოიძიებდნენ და არც კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ. ძირითადად, ხელისუფლების აქტივობები და მათი განცხადებები შუქდებოდა. მთავრობა და პრემიერმინისტრი დადებით ტონში გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდნენ. პარალელურად, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დრო მხოლოდ ნეიტრალურ და უარყოფით ტონში დაეთმო. არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები კი საერთოდ არ გაშუქებულან.

რადიომაუწყებელი წინასაარჩევნო კამპანიას არ აშუქებდა. მსმენელებს საარჩევნო პროგრამების, მერობის კანდიდატთა აქტივობებისა და მათი დაპირებების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება არ ჰქონდათ. წუთზე მეტი დრო მერობის არცერთ კანდიდატს არ დაეთმო.

რადიო „უცნობის“ ეთერში სიძულვილის ენის გამოყენების ან ხმით / მუსიკით მანიპულაციის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.



რადიო „თავისუფლება“

რადიო „თავისუფლებამ“ მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 23 წუთი დაუთმო. აქედან 24-24%-ითმთავრობა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდნენ, 19%-ით - პრემიერმინისტრი. საშუალოდ, დროის 39% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

რადიომაუწყებელი დაბალანსებულ სიუჟეტებს ამზადებდა და საკითხის სიღრმისეული მიმოხილვით გამოირჩეოდა. ჟურნალისტები ექსპერტთა ანალიზებსა და არასამთავრობო სექტორის შეფასებებს აშუქებდნენ. ასევე, ცდილობდნენ, რომ დამატებითი ინფორმაცია მოეძიებინათ, სოციალური თემატიკა გაეშუქებინათ და პოლიტიკოსთათვის კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებული კითხვები დაესვათ. თბილისის გარდა, დრო რეგიონში მიმდინარე მოვლენებსაც ეთმობოდა.

წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას აქცენტი საარჩევნო გარემოს მიმოხილვაზე კეთდებოდა. ჟურნალისტები მოქალაქეებისა და ოპოზიციური პარტიების კანდიდატების მიმართ ზეწოლის შესაძლო შემთხვევებს, ცესკოს განცხადებებსა და საეთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს აშუქებდნენ. თუმცა, კონკრეტულად მერობის კანდიდატების გაშუქებას მცირე დრო ეთმობოდა. წუთზე მეტი დრო მერობის არცერთ

კანდიდატს არ დათმობია. საარჩევნო პროგრამები თითქმის არ განხილულა, შესაბამისად მსმენელს კანდიდატთა დაპირებების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა.

რადიომაუწყებელი პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდა. სიუჟეტები მიუკერძოებელიიყოდა არცერთი პოლიტიკური ძალის მიმართ ტენდენციურ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და არც სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები დაფიქსირებულა.



რადიო „მაესტრო“

რადიო „მაესტრომ“ მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 46 წუთი დაუთმო. აქედან, 77% სამ სუბიექტზე გადანაწილდა: მთავრობაზე, პრემიერმინისტრსა და „ერთან ნაციონალურ მოძრაობაზე“. რადიომაუწყებლის ეთერში სუბიექტების პირდაპირი საუბარი, თითქმის, არ გვხვდებოდა.

ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, თუმცა ახალი ამბები ზედაპირულად შუქდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო გამოშვების ქრონომეტრაჟი ნახევარ საათს აღემატებოდა, ჟურნალისტები პოლიტიკოსთა აქტივობებისა და მათი განცხადებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიებას არ ცდილობდნენ. შესაბამისად, სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ.

საინფორმაციო გამოშვებებში წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებაზე აქცენტი არ გაკეთებულა, მერობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები არ განხილულა. მათგან მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი, დავით ნარმანია, გაშუქდა. სხვა კანდიდატებს კი წუთზე ნაკლები დრო დაეთმოთ.

ჟურნალისტები სუბიექტების კომენტარების ციტირებისას, ზოგჯერ, არ აღნიშნავდნენ თუ ვის ეკუთვნოდა მოცემული კომენტარი.

რადიომაუწყებელი მოვლენებს ზედაპირულად, თუმცა მიუკერძოებლად აშუქებდა. ხმით / მუსიკით მანიპულაციის ან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.



რადიო „ფორტუნა“

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს 43 წუთი დაეთმოთ. აქედან ყველაზე მეტი დრო მთავრობაზე (33%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ (23%) და პრემიერმინისტრზე (16%) მოდიოდა. საინფაორმაციო გამოშვების ხანგრძლივობა 5-6 წუთს არ აღემატებოდა და სუბიექტები მხოლოდ ირიბი საუბრით შუქდებოდნენ.

ჟურანლისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, თუმცა მოვლენებს მშრალად, ფაქტის მოკლე აღწერით აშუქდებდნენ. ისინი დამატებითი ინფორმაციის მოძიებას არ ცდილობდნენ და კრიტიკულ კითხვებს არ სვამდნენ.

მერობის კანდიდატებიდან წუთზე მეტი დრო მხოლოდ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატ კახა კუკავას დაეთმო. საპარლამენტო პარტიების კანდიდატების დაპირებები და მათი საარჩევნო პროგრამები საერთოდ არ გაშუქებულა.

წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით საინფორმაციო გამოშვებები მხოლოდ ერთ ახალ ამბავზე აღარ მზადდებოდა და სიუჟეტების თემატიკა უფრო მრავალფეროვანი გახდა. თუმცა, წყაროთა სიმწირე კვლავაც პრობლემად რჩება.



რადიო „იმედი“

რადიო „იმედი“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. მონიტორინგის სუბიექტებს ორი საათი და 15 წუთი დაეთმოთ. სიუჟეტები ყველაზე ხშირად პრემიერმინისტრის (30 წთ.), მთავრობისა (28 წთ.) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (26 წთ.) აქტივობებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ დროის ნახევარზე მეტი (54%) პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

რადიომაუწყებელი დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით დაბალანსებულ სიუჟეტებს ამზადებდა, თუმცა ანალიზის ნაკლებობა მაინც შეინიშნებოდა, რაც ნეიტრალური ტონის ზრდაზეც აისახა. ჟურნალისტები დამატებითი ინფორმაციის მოძიებასა და კონკრეტული პრობლემების მიგნებას ნაკლებად ცდილობდნენ. ამიტომაც, ახალი ამბები მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებების ირგვლივ მზადდებოდა.

რადიო „იმედი“ საარჩევნო კამპანიის აქტიური გაშუქებით გამოირჩეოდა. ჟურნალისტები ამ თემაზე ცალკე ბლოკს კვლავაც ამზადებდნენ. მერობის კანდიდატების გაშქებისას კრიტიკული კითხვების ნაკლებობა იგრძნობოდა, თუმცა ჟურნალისტები ყველა კანდიდატს მიუკერძოებლად აშუქებდნენ და საშუალებას აძლევდნენ საკუთარ საარჩევნო პროგრამებზე ესაუბრათ. ამასთან, დრო არასპარლამენტო ოპოზიციურპარტიებსაც ეთმობოდათ.

ჟურნალისტები მოვლენებს სუბიექტური შეფასებების გარეშე აშუქებდნენ და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ.



რადიო „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი)

რადიო „ათინათი“, ძირითადად, სამეგრელოში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილმა დრომ 36 წუთი შეადგინა, საიდანაც 11 წუთი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა, 7 წუთი - კოალიცია „ქართული ოცნება“ და 4 წუთი - „არასაპარლამენტო ოპოზიცია“. დროის ერთი მეოთხედი პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

რადიომაუწყებელი მოკლე და ზედაპირულ სიუჟეტებს ამზადებდა, თუმცა მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქდება. დრო ეთმობოდა, როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება გაიზარდა. რადიომაუწყებელმა ზუგდიდის მერობის ორი კანდიდატი გააშუქა. ჟურნალისტები საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით დაბალანსებულ სიუჟეტებს ამზადებდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები კოალიცია „ქართულ ოცნების“ მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლო ფაქტებზე ხშირად საუბრობდნენ, შესაბმისად კოალიციას დროის 66% უარყოფით ტონში დაეთმო.

ახალი ამბები ზოგჯერ მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა, თუმცა ჟურნალისტები მოვლენებს სუბიექტური შეფასების გარეშე აშუქებდნენ.



რადიო „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი)

რადიო „ძველი ქალაქის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს 33 წუთი დაეთმოთ. აქედან ყველაზე მეტი დრო (8 წთ.) მთავრობას დაეთმო. შემდეგ მოდის ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ ქუთაისის მერობის კანდიდატი, თეიმურაზ შაშიაშვილი (4 წთ.) და „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (3 წთ.).

რადიომაუწყებელი მოკლე, თუმცა მრავალფეროვან გადაცემებს ამზადებდა, რაც ტონთა სიჭრელეზეც აისახა. ჟურნალისტები მოვლენებს სუბიექტური შეფასებების გარეშე აშუქებდნენ. მოწოდებული ინფორმაცია რესპონდენტთა კომენტარებით იყო გამყარებული. საინფორმაციო გამოშვებების მნიშვნელოვანი ნაწილი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების გაშუქებას ეთმობოდა. ჟურნალისტები იმერეთის რეგიონში არსებულ სოციალურ პრობლემებს დიდ ყურადღებას უთმობდნენ და ამ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებელ პირთა განცხადებებს აშუქებდნენ.

რადიომაუწყებელი ქუთაისში მიმდინარე საარჩევნო კამპანიას აქტიურად აშუქებდა. კანდიდატების მიმართ მწვავე კითხვები არ დასმულა, თუმცა მათ საშუალება ეძლეოდათ, საკუთარი საარჩევნო პროგრამა წარმოედგინათ. არჩევნების თემაზე ქუჩის გამოკითხვები ტარდებოდა და მოსახლეობის შეხედულებები შუქდებოდა.

ჟურნალისტები პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით მუშაობდნენ და არცერთი პოლიტიკური ძალის მიმართ ტენდენციურ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ.



რადიო „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი)

რადიო „ჰერეთზე“ მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 28 წუთი დაეთმოთ. მათ შორის დროის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობას (21 წთ.), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ (20 წთ.) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (17 წთ.) ჰქონდათ. სუბიექტების პირდაპირი საუბრის წილმა, საშუალოდ, 42% შეადგინა.

მონიტორინგის პერიოდში რადიომაუწყებელი მოვლენების მიუკერძოებლად გაშუქებას განაგრძობდა. რადიო „ჰერეთის“ ჟურნალისტები პროაქტიულობით გამოირჩეოდნენ. ისინი პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირების გარდა, დამატებითი ინფორმაციის მოძიებასაც ცდილობდნენ. დიდი დრო ეთმობოდა კახეთში არსებული სოციალური პრობლემების გაშუქებასაც, რა დროსაც ჟურნალისტები პასუხისმგებელ პირებს მწვავე და კონკრეტული კითხვებით მიმართავდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ყურადღება გამახვილდა არასამთავრობო სექტორის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და უწყებათაშორისი კომისიის განცხადებების გაშუქებაზე. მოსახლეობის საარჩევნო განწყობებთან დაკავშირებით რამდენჯერმე ქუჩის

გამოკითხვა მომზადდა. კონკრეტულად მერობის კანდიდატებს მცირე დრო დაეთმოთ. თუმცა, მათ შესახებ მოკლე სიუჟეტები მაინც მზადდებოდა. მაგალითად, 7 ივნისის გამოშვებაში ეთერში გავიდა შემაჯამებელი სიუჟეტი, სადაც თელავის მერობის შვიდივე კანდიდატის საარჩევნო დაპირებები გაშუქდა.

მთლიანობაში, რადიომაუწყებელი მოვლენებს პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით აშუქებდა და არცერთი პოლიტიკური ძალის მიმართ ტენდენციურ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა.



რადიო „აჭარა“ (ქ. ბათუმი)

28 მაისიდან რადიო აჭარამ საინფორმაციო გამოშვებები განაახლა. 14 ივნისის ჩათვლით მონიტორინგის სუბიექტებს 43 წუთი დაეთმოთ. ყველაზე მეტი დრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ ბათუმის მერობის კანდიდატ გიორგი ერმაკოვსდაუგროვდათ.

რადიომაუწყებელი აჭარაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად და მიუკერძოებლად აშუქებდა. წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, სიუჟეტები უფრო დაბალანსებული იყო, შესაბამისად, შემცირდა აჭარის მთავრობის დადებით ტონში გაშუქების მაჩვენებელიც. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება კრიტიკული კითხვების ნაკლებობა. ჟურნალისტები უმეტესად პოლიტიკოსთა განცხადებების გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ და დამატებითი ინფორმაციის მოძიებას არ ცდილობდნენ.

რადიომაუწყებელი საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით სიუჟეტებს, თითქმის, ყველასაინფორმაციო გამოშვებისთვის ამზადებდა. შუქდებოდა, როგორც ბათუმში, ასევე აჭარის სოფლებში მიმდინარე საარჩევნო პროცესები. მიუხედავად ამისა, მერობის მხოლოდ ორი კანდიდატი გაშუქდა. ამასთან, კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატს 6-ჯერ მეტი დრო დაეთმო, ვიდრე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს.

რადიო „აჭარა“ სუბიექტების პირდაპირ საუბარსაც აშუქებდა, თუმცა ჟურნალისტები, ხშირად, რესპონდენტს არ წარადგენდნენ და ჭირდა იმის გარკვევა თუ ვინ საუბრობდა ეთერში. ხმით / მუსიკით მანიპულაციის ან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.



დასკვნა

არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური დაძაბულობა გაიზარდა, რაც რადიომაუწყებლების მუშაობაზეც აისახა. მთავრობის აქტივობების გაშუქება შედარებით შემცირდა და მინისტრებიც, ძირითადად, საარჩევნო თემების გარშემო საუბრობდნენ. ოპოზიციური პარტიები საკუთარ წინასაარჩევნო კამპანიას, ხშირად, ხელისუფლების კრიტიკაზე აგებდნენ. კოალიცია „ქართული ოცნება“ კი, ძირითადად, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აკრიტიკებდა და პროვოკაციების მოწყობაში ადანაშაულებდა. შესაბამისად, რადიომაუწყებლების უმეტესობაზე მმართველ გუნდსა და ყოფილ ხელისუფლებას უარყოფით ტონში გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებლი დაუგროვდათ. აღსანიშნავია, რომ ოპოზიცია ხელისუფლებაზე საუბრისას პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს უარყოფით კონტექსტში არ იხსენიებდა, ამიტომაც პრეზიდენტი მხოლოდ დადებით და ნეიტრალურ ტონში შუქდებოდა.

ჟურნალისტებს აკლდათ პროაქტიულობა, რომ პოლიტიკოსთა ბრიფინგებზე გაკეთებული ზოგადი განცხადებების გარდა, კონკრეტული პრობლემები აღმოეჩინათ და მოსახლეობისთვის მტკივნეული საკითხები ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში დაეყენებინათ.

საინფორმაციო გამოშვებებში პოლარიზება არ შეიმჩნეოდა. აქტიურად შუქდებოდა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებიც, თუმცა ჟურნალისტები მათი სამომავლო გეგმებისა და საარჩევნო პროგრამების მიმართ მწვავე კითხვებს საერთოდ არ სვამდნენ. ამასთან, ცენტრალურ რადიომაუწყებლებს რეგიონული თვითმმართველი ქალაქების მერობის კანდიდატებისთვის დრო თითქმის არ დაუთმიათ.

საანგარიშო პერიოდში საარჩევნო კამპანიის გაშუქება შედარებით გაიზარდა. თუმცა, რადიომაუწყებლები აქცენტს საარჩევნო გარემოს მიმოხილვაზე, უწყებათაშორისი კომისიის მუშაობასა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებზე აკეთებდნენ; საარჩევნო პროგრამების განხილვას კი მცირე დროს უთმობდნენ.

მერობის კანდიდატების დაპირებები მოკლედ და ანალიზის გარეშე შუქდებოდა. ჟურნალისტები კანდიდატთა მოსახლეობასთან შეხვედრების დრო გაკეთებულ განცხადებებს აშუქებდნენ და დაპირებებთან დაკავშირებით მათ კითხვებს არ უსვამდნენ.

წინა წლის მონიტორინგის შედეგებთან შედარებით საარჩევნო თემატიკის ანალიზში ექსპერტების ჩართვა კიდევ უფრო ნაკლებად შეინიშნებოდა. ჟურნალისტები სპეციალისტებს თითქმის არ ეკითხებოდნენ თუ რამდენად რეალურია ან რისი მომტანი შეიძლება იყოს პოლიტიკოსთა ესა თუ ის დაპირება. რადიო „თავისუფლება“ და „პალიტრაც“ კი, რომელებიც მოვლენების სიღრმისეული ანალიზით გამოირჩეოდნენ, მერობის კანდიდატების აქტივობებს მოკლედ და ზედაპირულად აშუქებდნენ. ამიტომაც, რადიომაუწყებლების ეთერში მერობის კანდიდატებს უარყოფითი ტონი თითქმის არ დაუგროვდათ (საშუალოდ, 3%).

უკლებლივ ყველა რადიომაუწყებელი იცავდა პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და ისეთი დარღვევები, როგორიცაა სიძულვილის ენის გამოყენება ან ხმით / მუსიკით მანიპულირება, არ დაფიქსირებულა.